ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
TSAGERI MUNICIPALITY TOWN HALL

ბრძანება:**ბ80. 80250235**
თარიღი:**23/01/2025**

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' 54-ე მუხლის „ე.ე'' ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის'' განხორციელების სამოქმედო გეგმა.
2. კონტროლი გეგმის შესრულებაზე დაევალოს მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს (ქალბატონი ს.გვიშიანი).
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქ. N 69).

რევაზი ახვლედიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

5100, ქ.ცაგერი. რუსთაველის ქ.№58. ტელ.: (+995) 599 18 24 25,ელ. ფოსტა: TSAGERIMERIA@GMAIL.COM
5100, RUSTAVELI STR. #58, TSAGERI,GEORGIA, TEL.: (+995) 599 18 24 25 EMAIL: TSAGERIMERIA@GMAIL.COM

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების სამოქმედო გეგმა

(2025 წელი)

1. მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებებში სპეციფიკიდან გამომდინარე მოსახლეობის წინაშე არსებული მცირე მასშტაბიანი პირველი რიგის გადაუდებელი საჭიროებების გამოვლენის თაობაზე მონაცემთა ბაზის შექმნა (დანართი N1).
   შემსრ: ადმინისტრაციული სამსახური, ინფრასტრუქტურის სამსახური, რწმუნებულები.
   შესრულების ვადა 2024 წლის დეკემბერი- 2025 წლის იანვარი.

2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის 2025 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ცალკე ქვეთავის განსაზღვრა.
   შემსრ. საფინანსო-საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურის სამსახური.
   ვადა 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერი.

3. პროექტების შერჩევის პროცედურების დაწყება, მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით მოსახლეობისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება.

   შემსრ: ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურის სამსახური, რწმუნებულები.
   შესრულების ვადა 2025 წლის იანვარი-თებერვალი

4.დასახლებების მიხედვით საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი სახსრების განაწილება.

შემსრ. საფინანსო-საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურის სამსახური.

ვადა 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერი.

5.დასახლების მიხედვით საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად გამოყოფილი სახსრების განაწილების შესახებ მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა.

შემსრ: ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურის სამსახური, რწმუნებულები.
შესრულების ვადა 2025 წლის იანვარი-თებერვალი

6.საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე მერის ბრძანების პროექტის შემუშავება და გამოცემა.

შემსრ: ადმინისტრაციული სამსახური.

შესრულების ვადა 2025 წლის იანვარი-თებერვალი

7,ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების, მაჟორიტარი წესით არჩეული საკრებულოს წევრებისა და კრების მომზადებაში ჩართული პირებისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული მომზადებული სახელმძღვანელო დოკუმენტაციის გადაცემა.

შემსრ: ადმინისტრაციული სამსახური.

შესრულების ვადა 2025 წლის იანვარი-თებერვალი

8. დასახელებების საერთო კრებებსა და კონსულტაციების ჩატარების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება , საინფორმაციო კამპანიის დაწყება.

შემსრ: ადმინისტრაციული სამსახური.

შესრულების ვადა 2025 წლის იანვარი-თებერვალი

9. კონსულტაციებისა და საერთო კრებების ჩატარების ინიცირება, მომზადება საინფორმაციო კამპანიის ჩატარება.

შემსრ. ადმინისტრაციული სამსახური, ინფრასტრუქტურის სამსახური

შესრულების ვადა 2025 წლის იანვარი-თებერვალი

10. მოსახლეობისაგან საპროექტო წინადადებების მიღება და განსახორციელებელი პროექტების სავარაუდო ჩამონათვალის მომზადება.

შემსრ. ადმინისტრაციული სამსახური, ინფრასტრუქტურის სამსახური

შესრულების ვადა 2025 წლის მარტი

11. დასახლებების საერთო კრებების(კონსულტაციების) მომზადება-ჩატარება.

შემსრ. ადმინისტრაციული სამსახური, ინფრასტრუქტურის სამსახური

შესრულების ვადა 2025 წლის მარტი

12. მერიაში დადგენილ ვადებში საერთო კრებების (კონსულტაციების) ჩატარების ოქმების წარმოდგენა.

შემსრ. ადმინისტრაციული სამსახური, ინფრასტრუქტურის სამსახური

შესრულების ვადა 2025 წლის მარტი

13.საკრებულოს სხდომისათვის მომზადებული პროექტების ნუსხის წარდგენა, განხილვა და დამტკიცება.

შემსრ. ადმინისტრაციული სამსახური, ინფრასტრუქტურის სამსახური

შესრულების ვადა 2025 წლის მარტი

14.ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების მუხლიდან შესაბამისი თანხების გამოყოფა.

შემსრ. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

ვადა 2024 წლის აპრილი

15. განხორციელებული პროექტების ნუსხისა და საკრებულოს განკარგულების წარდგენა რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

შემსრ. ინფრასტრუქტურის სამსახური.

ვადა 2024 წლის აპრილი

16. განხორციელებული პროექტების ნუსხის შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

შემსრ. ინფრასტრუქტურის სამსახური.

ვადა 2024 წლის აპრილი-მაისი

17. მომზადებული დოკუმენტაციის შესაბამისად შესყიდვების განხორციელება შემსრულებელ კომპანიებთან ხელშეკრულების გაფორმება.

შემსრ. შესყიდვების სამსახური

ვადა 2024 წლის მაისი

18. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში პროექტების შესრულების მიმდინარეობასა და საბოლოო შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

შემსრ. მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები

ვადა: ივნისი-ნოემბერი-2025 წელი.

19. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის ყველა ეტაპის გაშუქება ადგილობრივი გაზეთისა და სოციალური ქსელის მეშვეობით.

შემსრ. ადმინისტრაციული სამსახური, საინფორმაციო სამსახური

ვადა: იანვარი-ნოემბერი 2025 წელი.

20. დადგენილებით დამტკიცებული პროცედურებისა და კრიტერიუმების საფუძველზე დარჩენილი ეკონომიის შესაბამისად იმავე დასახლებაში განსახორციელებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

შემსრულებელი: ინფრასტრუქტურის და შესყიდვების სამსახური.

ვადა: ოქტომბერი-ნოემბერი

21. საქართველოს რეგიონული და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის (მოთხოვნის შესაბამისად) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მხარდაჭერის მიმდინარეობაზე ინფორმაციების წარდგენა.

შემსრულებელი: ინფრასტრუქტურის სამსახური

ვადა: ოქტომბერი-ნოემბერი